## მიღება-ჩაბარების აქტი

ქ.თბილისი, 05 აგვისტო 2015 წელი

ერთის მხრივ, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ,,თბილისის განვითარების ფონდი“ (ს/კ 404384974) წარმოდგენილი ინფრასტრუქტურული პროექტების უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის, მერაბ ფოლადაშვილის სახით (შემდგომში ,,დამკვეთი“) და მეორეს მხრივ, შპს ,,გიმკა“ (ს/კ 404899641) წარმოდგენილი მისი დირექტორის-კოტე ილაშვილის მინდობილი პირის მიხეილ რობაქიძის (მინდობილობა N30.07.2015/1) სახით (შემდგომში ,,შემსრულებელი“), ერთობლიობაში მხარეები, წინამდებარე აქტის, დამკვეთსა და შემსრულებელს შორის 2015 წლის 13 ივლისს მიხეილ მესხის სახელობის ,,ლოკომოტივის“ სტადიონის ფასადის, ინტერიერის, მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოების შესრულების თაობაზე გაფორმებული ხელშეკრულების და სსიპ ,,ლევან სმხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ 2015 წლის 03 აგვისტოს N004521015 დასკვნის საფუძველზე ვთანხმდებით შემდეგზე:

შემსრულებელმა შეასრულა ნაკისრი ვალდებულებები კერძოდ, წინამდებარე ექსპერტიზის დასკვნით დადასტურებული სამუშაოები **85 463.37** (ოთხმოცდახუთი ათას ოთხასსამოცდასამი ლარი და ოცდაჩვიდმეტი თეთრი) ლარის ოდენობით, რომელიც სრულად ექვემდებარება ანაზღაურებას.

**დამკვეთი:**

**ა(ა)იპ ,,თბილისის განვითარების ფონდი“**

**მერაბ ფოლადაშვილი**

**შემსრულებელი:**

**შპს ,,გიმკა“**

კოტე ილაშვილის მინდობილი პირი

**მიხეილ რობაქიძე**

შპს "გიმკა"
თბილისი, ზანდუკელის ქ. 21
ს/კ 404899641
ტელ.: (+995) 595308100
ელ.ფოსტა: gimka.gimka@gmail.com

LLC "GIMKA"
Tbilisi, Zandukeli str. 21
I/D 404899641
Tel.: (+995) 595308100
E-mail: gimka.gimka@gmail.com

30.07.2015/1

30 ივლისი, 2015 წელი

# მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

წინამდებარე მინდობილობის საფუძველზე შპს "გიმკა"-ს (ს.კ. 404899641) დირექტორი კოტე ილაშვილი (პ.ნ.:01029014093. შემდგომში მოხსენიებულია როგორც „მარწმუნებული") ვანიჭებ შპს „გიმკა"-ს მთავარ ინჟინერს მიხეილ რობაქიძეს (პ.ნ.:01003006487) (შემდგომში "რწმუნებული") შემდეგ უფლებამოსილებებს:

1. რწმუნებული იცავს მარწმუნებლის ქონებრივ და არაქონებრივ უფლებებსა და ინტერესებს. ამ მიზნით რწმუნებული მარწმუნებელს წარმოადგენს ა(ა)იპ „თბილისის განვითარების ფონდ"-ში და აწარმოებს შესაბამის საქმეს.

2. აღნიშნული რწმუნებულების განსახორციელებლად, რწმუნებული უფლებამოსილია, მარწმუნებლის სახელით ხელი მოაწეროს ყველა საჭირო დოკუმენტს (როგორებიცაა: მიღება-ჩაბარების აქტი, შედარების აქტი, შეთანხმება, ხელშეკრულება და/ან ნებისმიერ სხვა დოკუმენტს) განახორციელოს მოქმედება და პროცედურა, რაც დადგენილია საქართველოს კანონმდებლობით: მარწმუნებლის სახელით შეიტანოს, გაეცნოს საქმის მასალებს, მოიპოვოს რწმუნებულის ინტერესებიდან გამომდინარე და მის შესახებ ნებისმიერი სახის ინფორმაცია, გააკეთოს ამონაწერები ამ მასალებიდან, გადაიღოს ასლები, წარადგინოს და ხელი მოაწეროს წერილებს/განცხადებებს, მიიღოს მონაწილეობა მარწმუნებელთან დაკავშირებულ საკითხთა გამოკვლევაში, მისცეს ზეპირი და წერილობითი ახსნა-განმარტებები, წარადგინოს თავისი დასკვნები და გამოთქვას მოსაზრებები საქმის განხილვის წამოჭრილ ყველა საკითხზე.

3. არავინ არ შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს რწმუნებულის უფლებამოსილებანი იმის გამო, რომ წინამდებარე რწმუნებულებაში რწმუნებულის უფლებები ამომწურავად არ არის ჩამოთვლილი. რწმუნებული უფლებამოსილია შეასრულოს სხვა ნებისმიერი მოქმედება, რაც პირდაპირ არ არის მითითებული ამ რწმუნებულებაში, მაგრამ აუცილებელია მარწმუნებლის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად.

4. რწმუნებულება გაცემულია გადანდობის უფლებით, განუსაზღვრელი ვადით და ძალაშია მის გაუქმებამდე.

შპს "გიმკა"-ს დირექტორი

კოტე ილაშვილი

404899641

ლევან სამხარაულის სახელობის
სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო
LEVAN SAMKHARAULI NATIONAL FORENSICS BUREAU

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW

№ 5003866815 201 წ.

03/08/2015

5003866815

შპს „გიმკა"-ს წარმომადგენელს ბატონ სიმონი მახათაძეს

(ზესტაფონი დ.აღმაშენებლის I შეს. კორ. 2 ბ. 5)

ბატონო სიმონ,

ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო, თქვენი მომართვის (ბიუროს 2015 წლის 23 ივლისის რეგისტრაციის N1005319515) საფუძველზე, გიგზავნით საინჟინრო ექსპერტიზის N004521015 დასკვნას.

დანართი:

ექსპერტის დასკვნა 10 ფურცლად;

პატივისცემით,

გიორგი თვაური

ბიუროს უფროსი

თბილისი 0162, ჭავჭავაძის გამზ. №84
84 Chavchavadze ave., Tbilisi 0162, Georgia
ქუთაისი 4600, მესხის ქ. №5
5 Meskhi str. Kutaisi 4600, Georgia
(995 32) 225 84 84
(995 32) 229 05 24
info@forensics.ge
(995 431) 21 30 03

WWW.EXPERTIZA.GOV.GE WWW.FORENSICS.GE

004521015

ექსპერტის დასკვნა № 004521015

## გაფრთხილება

დეპარტამენტების უფროსების მიერ განგვემარტა ექსპერტის უფლება-მოვალეობები, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 168-ე და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 51-ე და 52-ე მუხლებით. ამასთან, ცრუ ჩვენების, ყალბი დასკვნის, საექსპერტო კვლევის ობიექტის დაუცველობისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ გაფრთხილებულები ვარ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე მუხლის შესაბამისად.

## ექსპერტიზის ჩატარების საფუძველი

ექსპერტიზის სახეობა: საინჟინრო ექსპერტიზა

**დამნიშნავი :**

ორგანიზაცია: შპს გიმკა

თანამდებობა: წარმომადგენელი

მისამართი: ზესტაფონი დ.აღმაშენებლის I შეს. კორ. 2 ბ. 5

სახელი და გვარი: სიმონი მახათაძე

საფუძველი: განცხადება

**შემსრულებელი ექსპერტები :**

ვახტანგ ფოჩხუა / კირიაკ ზავრიევის სამშენებლო მექანიკის, სეისმომედეგობის და საინჟინრო ექსპერტიზის ცენტრი (დეპარტამენტი)ს საინჟინრო ექსპერტიზის სამმართველოს ექსპერტი, სპეციალობით მუშაობის 6 წლის სტაჟით.

დავით ბოჭორიძე / კირიაკ ზავრიევის სამშენებლო მექანიკის, სეისმომედეგობის და საინჟინრო ექსპერტიზის ცენტრი (დეპარტამენტი)ს საინჟინრო ექსპერტიზის სამმართველოს ექსპერტი, სპეციალობით მუშაობის 3 წლის სტაჟით.

## ექსპერტიზის წინაშე დასმული კითხვები

გთხოვთ ჩაგვიტაროთ საინჟინრო ექსპერტიზა გამარტივებული შესყიდვით შესრულებულ სამუშაოებზე ქ.თბილისში, მიხეილ მესხის სახელობის ლოკომოტივის სტადიონზე შესრულებული სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოებზე დაჩქარებული წესით.

შემოსვლის თარიღი: 23.07.2015წ

გასვლის თარიღი: 03.08.2015წ

## დასკვნა

1. ქ.თბილისში, მიხეილ მესხის სახელობის „ლოკომოტივის" სტადიონის ფასადის, ინტერიერის, მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოებზე, შესრულებული სამუშაოების მოცულობები, რაოდენობები და ღირებულებები არ შეესაბამება წარმოდგენილ შესრულებული სამუშაოების აქტში დაფიქსირებულ მოცულობებს, რაოდენობებსა და ღირებულებებს, რა დროსაც ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების ღირებულებამ დღგ-სა და ჩვეულებრივი წესით საექსპერტო მომსახურების ღირებულების გათვალისწინებით შეადგინა 89 350,93 ლარი, ნაცვლად წარმოდგენილ ფორმა #2-ში მოცემული 117413,68 ლარისა, სხვაობამ ნაკლებობით შეადგინა 28 062,75 ლარი (იხ.დანართი #1).
2. სახელმწიფო შესყიდვების #15-07-57 ხელშეკრულების 6.2. პუნქტისა და ხელშეკრულებით გათვალისწინებული ხარჯთაღრიცხვის (ხელშეკრულების დანართი #1-ის) მოთხოვნათა დაცვით ქ.თბილისში, მიხეილ მესხის სახელობის „ლოკომოტივის" სტადიონის ფასადის, ინტერიერის, მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოების ღირებულება დღგ-სა და ჩვეულებრივი წესით საექსპერტო მომსახურების ღირებულების გათვალისწინებით შეადგენს 85641,45 ლარს, ნაცვლად წარმოდგენილ ფორმა #2-ში მოცემული 117413,68 ლარისა, სხვაობა ნაკლებობით შეადგენს 31772,23 ლარს (იხ.დანართი #2).

004521015

**ექსპერტის დასკვნა № 004521015**

ვახტანგ ფოჩხუა

დავით ბოჭორიძე

## გამოკვლევა

როგორც წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ირკვევა გამოსაკვლევი ობიექტი წარმოადგენს მიხეილ მესხის სახელობის „ლოკომოტივის“ სტადიონის ფასადის, ინტერიერის, მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობისა და შესაბამისი ღონისძიებების გატარებასთან დაკავშირებული სამუშაოები დანართი #1-ის (ხარჯთაღრიცხვა) მიხედვით. აღნიშნული სამუშაოები შეასრულა შპს „გიმკა“-მ ა(ა)იპ თბილისის განვითარების ფონდთან 2015 წლის 13 ივლისს დადებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ #15-07-57 ხელშეკრულების ფარგლებში.

ექსპერტიზაზე წარმოდგენილია შემდეგი დოკუმენტაცია:

1. ზემოაღნიშნული ხელშეკრულება, რომლის საერთო ღირებულება შეადგენს 104830,47 ლარს;
2. სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულება #15-07-57-ის დანართი #1 (ხარჯთაღრიცხვა), აღსანიშნავია, რომ ხარჯთაღრიცხვაში დაჯამებისას გაპარულია მექანიკური უზუსტობა, მისი გასწორების შემდეგ ხარჯთაღრიცხვის ღირებულებამ შეადგინა 111303,2 ლარი;
3. შესრულებული სამუშაოს აქტი (ფორმა #2) ღირებულებით 117413,68 ლარი;
4. ფარული სამუშაოს აქტები. ფარული სამუშაოს აქტებით გათვალისწინებული სამუშაოები შესრულებული სამუშაოების აქტებში მოცემულია მუქი ფერით (არსებული რკინის ღობის დემონტაჟი - 180მ$^2$; სამშენებლო ნაგვის დატვირთვა ავტოთვითმცლელზე და გატანა - 6მ$^3$; ბეტონის საფარის მოწყობა ბაზალტის ქვეშ - 1,44მ$^3$);
5. 2015 წლის 13 ივლისს გაფორმებული სამუშაო ბრიგადის მომსახურების ხელშეკრულებები #01/07; #02/07 და #03/07;
6. შესყიდული სამშენებლო მასალების შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (სასაქონლო ზედნადებები);
7. 2015 წლის 11 ივლისის მომსახურების ქვითარი, რომლის მიხედვითაც დავით ბერ(ძ)ნიშვილმა სახ. #RAB-737 ავტომანქანით შეასრულა დეკორატიული ხრეშის ტრანსპორტირების მომსახურება თელავი-თბილისი. მომსახურების ღირებულებამ შეადგინა 660 ლარი;
8. 2015 წლის 16 ივლისის მომსახურების ქვითარი, რომლის მიხედვითაც ვეფხვია ფუნთუშაშვილმა სახ. #XRX-855 ავტომანქანით შეასრულა დეკორატიული ხრეშის ტრანსპორტირების მომსახურება თელავი-თბილისი. მომსახურების ღირებულებამ შეადგინა 1320 ლარი;
9. 2015 წლის 17 ივლისის მომსახურების ქვითარი ამწე-კალათით (სახ.# LXL-795, ოპერატორი რობერტ ჯულაყიძე) მომსახურების თაობაზე. მომსახურების ქვითრის მიხედვით 4 დღის ღირებულებამ შეადგინა 1750 ლარი;
10. 2015 წლის 20 ივლისს ა(ა)იპ „თბილისის განვითარების ფონდი“-ს მიერ გაცემული ცნობა, რომლის მიხედვითაც ამწე კალათა (სახ.# LXL-795) მიხეილ მესხის სახელობის „ლოკომოტივი“-ს სტადიონის რეკონსტრუქციის პერიოდში მაღლივი სამუშაოების წარმოებისას გამოყენებული იქნა სამი დღის განმავლობაში;

ჩვენს მიერ ადგილზე იქნა შესწავლილი გამოსაკვლევი ობიექტი, სადაც ჩავატარეთ ფაქტობრივად შესრულებული ხილული სამუშაოების აზომვები ა(ა)იპ თბილისის განვითარების ფონდისა და შპს „გიმკა“-ს წარმომადგენლების თანდასწრებითა და მითითებით. აზომვების შედეგად მიღებული მონაცემების, ფარული სამუშაოს აქტების, სამუშაო ბრიგადის მომსახურების ხელშეკრულებების, სასაქონლო ზედნადებებისა და მომსახურების ქვითრების ურთიერთშედარებით წარმოდგენილ შესრულებული სამუშაოების აქტთან დადგინდა შემდეგი:

ქ.თბილისში, მიხეილ მესხის სახელობის „ლოკომოტივის“ სტადიონის ფასადის, ინტერიერის, მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოებზე, შესრულებული სამუშაოების მოცულობები, რაოდენობები და ღირებულებები არ შეესაბამება წარმოდგენილ შესრულებული სამუშაოების აქტში დაფიქსირებულ მოცულობებს, რაოდენობებსა და ღირებულებებს, რა დროსაც ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების ღირებულებამ დღგ-სა და ჩვეულებრივი წესით საექსპერტო მომსახურების ღირებულების გათვალისწინებით შეადგინა 89 350,93 ლარი, ნაცვლად წარმოდგენილ ფორმა #2-ში მოცემული 117413,68 ლარისა, სხვაობამ ნაკლებობით შეადგინა 28 062,75 ლარი (იხ.დანართი #1).

სახელმწიფო შესყიდვების #15-07-57 ხელშეკრულების 6.2. პუნქტისა „საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება ხდება

004521015

**ექსპერტის დასკვნა № 004521015**

მიმწოდებლის მიერ ფაქტიურად შესრულებული სამუშაოსა და ფაქტიურად გაწეული ხარჯების (არაუმეტეს ხელშეკრულებით და ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებულისა) შესაბამისად წარმოდგენილი სამუშაოთა შესრულების ფორმა #2-ის (შედგენილი რესურსული მეთოდით), ექსპერტიზის დასკვნისა (ხარჯთაღრიცხვის და მოცულობის) და მასთან დაკავშირებული ხარჯვითი დოკუმენტაციის (ზედნადები, ანგარიშფაქტურა და სხვა) საფუძველზე, წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელის მოწერით და ბეჭდით. ამასთან, მიმწოდებელს არ უნდა ჰქონდეს პრეტენზია ექსპერტიზის მიერ დაკორექტირებული ფორმა #2-ის მიმართ და ფორმა #2-ის თითოეულ პუნქტში არსებული შესრულებული სამუშაოთა ერთეულის ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული დანართ #1-ში მითითებული თითოეულ შესაბამის პუნქტში არსებულ სამუშაოთა ერთეულის ღირებულებას" და ხელშეკრულებით გათვალისწინებული ხარჯთაღრიცხვის (ხელშეკრულების დანართი #1-ის) მოთხოვნათა დაცვით ქ.თბილისში, მიხეილ მესხის სახელობის „ლოკომოტივის" სტადიონის ფასადის, ინტერიერის, მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოების ღირებულება დღგ-სა და ჩვეულებრივი წესით საექსპერტო მომსახურების ღირებულების გათვალისწინებით შეადგენს 85641,45 ლარს, ნაცვლად წარმოდგენილ ფორმა #2-ში მოცემული 117413,68 ლარისა, სხვაობა ნაკლებობით შეადგენს 31772,23 ლარს (იხ.დანართი #2).

აღსანიშნავია, რომ შესრულებული სამუშაოების აქტში ნორმატიული დანახარჯების გათვალისწინებისას გამოყენებილი იქნა სამშენებლო ნორმები და წესები (СНИП).

ვახტანგ ფოჩხუა

დავით ბოჭორიძე

**გამოყენებული მასალები**

- მომართვა;
- ხელშეკრულება;
- ხარჯთაღრიცხვა;
- შესრულებული სამუშაოს აქტი (ფორმა #2);
- ფარული სამუშაოს აქტები;
- სასაქონლო ზედნადებები;
- სამუშაო ბრიგადის მომსახურების ხელშეკრულებები;
- მომსახურების ქვითრები;
- სამშენებლო ნორმები და წესები.

ექსპერტის დასკვნა ტექნიკური წესით გადაამოწმა: კახაბერ კახელი

ექსპერტის დასკვნა ადმინისტრაციული წესით გადაამოწმა: ბადრი ლეფსაია

ფოტოილუსტრაცია




ფოტო 1




ფოტო 2




ფოტო 3




ფოტო 4

დანართი №1

შესრულებული სამუშაოების აქტი

ივლისი 2015წ.

ფორმა №-2

გამკვეთი: ააიპ "თბილისის განვითარების ფონდი"

შემსრულებელი: შ.პ.ს. "გიმკა"

ობიექტი: მიხეილ მესხის სახელობის ლოკომოტივის სტადიონის რეაბილიტაცია

| № | შიფრი | სამუშაოს დასახელება | განზ | ნორმატიული ერთეული | რა-ბა | მასალები | | ხელფასი | | ტრანსპორტი | | მთლიანი ღირ-ბა, ლარებში |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | ერთ ფასი | ჯამი | ერთ ფასი | ჯამი | ერთ ფასი | ჯამი | |
| | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 |
| | | განათების ბოძების მოწესრიგება | | | | | | | | | | |
| 1 | 15-164-7-8 | ელ. ბოძების შეღებვა (სტადიონის განათების) | $м^2$ | | 2100.00 | | 0 | 11.28 | 23688.00 | | 0.00 | 23688.00 |
| | | მასალა | | | | | 0 | | 0.00 | | 0.00 | 0.00 |
| | | საღებავი | კგ | 0.28 | 588.00 | 8.71 | 5121.76875 | | 0.00 | | 0.00 | 5121.77 |
| | | ზუმფარა | გ.მ. | 0.0033 | 7.00 | 3.39 | 23.73 | | 0.00 | | 0.00 | 23.73 |
| | | სხვა მასალები | ლარი | 0.0019 | 3.99 | 3.20 | 12.768 | | 0.00 | | 0.00 | 12.77 |
| 2 | 15-156-4 | ელ. ბოძების საყრდენების დამუშავება შეღებვა (სტადიონის განათების) | მ2 | | 201.00 | | 0 | 8.13 | 1633.13 | | 0.00 | 1633.13 |
| | | მასალა | | | | | 0 | | 0.00 | | 0.00 | 0.00 |
| | | საღებავი | კგ | 0.69 | 138.69 | 4.80 | 665.557246 | | 0.00 | | 0.00 | 665.56 |
| | | ფითხი | კგ | 0.27 | 54.27 | 0.64 | 34.4936441 | | 0.00 | | 0.00 | 34.49 |
| | | ზუმფარა | ლ | 0 | 0.00 | 0.12 | 0 | | 0.00 | | 0.00 | 0.00 |
| | | სხვა მასალები | ლარი | 0.0034 | 0.68 | 3.20 | 2.18688 | | 0.00 | | 0.00 | 2.19 |
| | | სტადიონის შემოსასვლელის კეთილმოწყობა (სალაროებთან) | $м^2$ | | | | 0 | | 0.00 | | 0.00 | 0.00 |
| 3 | 15-164-7-8 | სტადიონის შემოსასვლელის შეღებვა (ჭიშკარი და 2 სექცია ღობე) (სალაროებთან) | $м^2$ | | 34.20 | | 0 | 8.13 | 277.88 | | 0.00 | 277.88 |
| | | მასალა | | | | | 0 | | 0.00 | | 0.00 | 0.00 |
| | | საღებავი | კგ | 0.28 | 9.58 | 8.71 | 83.4116625 | | 0.00 | | 0.00 | 83.41 |
| | | ზუმფარა | ლ | 0 | 0.00 | 0.12 | 0 | | 0.00 | | 0.00 | 0.00 |
| | | სხვა მასალები | ლარი | 0.0019 | 0.06 | 3.20 | 0.207936 | | 0.00 | | 0.00 | 0.21 |
| 4 | | არსებული რკინის ღობის დემონტაჟი | $м^2$ | | 180.00 | | 0 | 1.25 | 225.00 | 1.00 | 180.00 | 405.00 |
| 5 | | ახალი ლითონის ღობის მონტაჟი ბეტონის საფუძველზე (სალაროებთან) | $м^2$ | | 230.00 | 20.25 | 4657.5 | 37.50 | 8625.00 | | 0.00 | 13282.50 |
| 6 | | ტრიბუნაზე სკამებს შორის გასასვლელის ლითონის კარის მონტაჟი | მ2 | | 0.60 | 85.80 | 51.48 | 37.50 | 22.50 | 5.00 | 3.00 | 76.98 |

| | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | მეორე იარუსზე ასასვლელი კიბის უჯრედის შეკეთება | | | | | 0 | | 0.00 | | 0.00 | 0.00 |
| 7 | | სამშენებლო ნაგვის დატვირთვა ავტოთვითმცლელებზე და ტრანსპორტირება ნაყარში | მ$^3$ | | 6.00 | 0.00 | 0 | 5.00 | 30.00 | 18.00 | 108.00 | 138.00 |
| 8 | | არსებული კედლის შელესვა ქვიშა-ცემენტის დუღბით | მ$^2$ | | 16.00 | 4.26 | 68.16 | 7.50 | 120.00 | | 0.00 | 188.16 |
| 9 | 15-156-4 | კედლის შეღებვა | მ$^2$ | | 16.00 | | 0 | 8.13 | 130.00 | | 0.00 | 130.00 |
| | | მასალა | | | | | 0 | | 0.00 | | 0.00 | 0.00 |
| | | საღებავი | კგ | 0.69 | 11.04 | 4.80 | 52.9796813 | | 0.00 | | 0.00 | 52.98 |
| | | ფითხი | კგ | 0.27 | 4.32 | 0.64 | 2.74576271 | | 0.00 | | 0.00 | 2.75 |
| | | ზუმფარა | ლ | 0 | 0.00 | 0.12 | 0 | | 0.00 | | 0.00 | 0.00 |
| | | სხვა მასალები | ლ | 0.0034 | 0.05 | 3.20 | 0.17408 | | 0.00 | | 0.00 | 0.17 |
| 10 | | ლითონის კარის დამზადება, ტრანსპორტირება და მონტაჟი კიბის უჯრედში | მ$^2$ | | 1.10 | 85.80 | 94.38 | 37.50 | 41.25 | 5.00 | 5.50 | 141.13 |
| 11 | 15-11-1 | მეორე სართულზე ასასვლელი კიბეების ძირის პარაპეტის მოპირკეთება ბაზალტის ფილებით და კროშკის დაყრა (პატარა სტადიონის მიმდებარედ) | მ$^2$ | | 28.70 | | 0 | | 0.00 | | 0.00 | 0.00 |
| | | ხელფასი | გ/მ | | 34.00 | | 0 | 25.00 | 850.00 | | 0.00 | 850.00 |
| | | ხელფასი | მ$^2$ | | 9.00 | | 0 | 31.25 | 281.25 | | 0.00 | 281.25 |
| | | ბაზალტის ფილა 2.5 სმ | მ$^2$ | 1.01 | 28.99 | 33.90 | 982.6593 | | 0.00 | 3.37 | 97.69 | 1080.35 |
| | | ბეტონი, კიბის მოსაწყობად და ბილიკის ქვეშ | მ3 | - | 0.72 | 93.20 | 67.104 | 50.00 | 36.00 | | 0.00 | 103.10 |
| | | ქვიშაცემენტის ხსნარი | მ3 | 0.01 | 0.29 | 85.00 | 24.395 | | 0.00 | | 0.00 | 24.40 |
| | | ქვის საჭრელი დისკი | ც | 0.065 | 2.00 | 14.52 | 29.0446841 | | 0.00 | | 0.00 | 29.04 |
| | | მარმარილოს კროშკა | ტ | - | 11.00 | 93.22 | 1025.42373 | 12.50 | 137.50 | 0.00 | 0.00 | 1162.92 |
| 12 | 15-11-1 | მეორე სართულზე ასასვლელი კიბეების ძირის პარაპეტის მოპირკეთება ბაზალტის ფილებით კიბის მოყობით და კროშკის დაყრა (პატარა სტადიონის მიმდებარედ) | მ$^2$ | | 29.10 | | 0 | | 0.00 | | 0.00 | 0.00 |
| | | ხელფასი | გ/მ | | 34.00 | | 0 | 25.00 | 850.00 | | 0.00 | 850.00 |
| | | ხელფასი | მ$^2$ | | 9.40 | | 0 | 31.25 | 293.75 | | 0.00 | 293.75 |
| | | ბაზალტის ფილა 2.5 სმ | მ$^2$ | 1.01 | 29.39 | 33.90 | 996.3549 | | 0.00 | 3.37 | 99.05 | 1095.40 |
| | | ბეტონი, კიბის მოსაწყობად და ბილიკის ქვეშ | მ3 | - | 0.72 | 93.20 | 67.104 | 50.00 | 36.00 | | 0.00 | 103.10 |
| | | ქვიშაცემენტის ხსნარი | მ3 | 0.01 | 0.29 | 85.00 | 24.735 | | 0.00 | | 0.00 | 24.74 |
| | | ქვის საჭრელი დისკი | ც | | 2.00 | 14.52 | 29.0446841 | | 0.00 | | 0.00 | 29.04 |
| | | მარმარილოს კროშკა | ტ | - | 13.00 | 93.22 | 1211.86441 | 12.50 | 162.50 | 0.00 | 0.00 | 1374.36 |

| | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | მშვილდოსნების მოედნის მიმდებარე კედლის შელესვა-შეღებვა | | | | | 0 | | 0.00 | | 0.00 | 0.00 |
| 13 | 15-156-4 | კედლების დამუშავება ფითხით და შეღებვა | $მ^2$ | | 285.8 | | 0 | 8.13 | 2322.13 | | 0.00 | 2322.13 |
| | | მასალა | | | | | 0 | | 0.00 | | 0.00 | 0.00 |
| | | საღებავი | კგ | 0.69 | 197.20 | 4.80 | 946.349557 | | 0.00 | | 0.00 | 946.35 |
| | | ფითხი | კგ | 0.27 | 77.17 | 0.64 | 49.0461864 | | 0.00 | | 0.00 | 49.05 |
| | | ზუმფარა | ლ | 0 | 0.00 | 0.12 | 0 | | 0.00 | | 0.00 | 0.00 |
| | | სხვა მასალები | ლარი | 0.0034 | 0.97 | 3.20 | 3.109504 | | 0.00 | | 0.00 | 3.11 |
| 14 | | მცირე სტადიონთან მისასვლელი ხის პანდუსის მოწყობა | | | | | 0 | | 0.00 | | 0.00 | 0.00 |
| | | ხის პანდუსი | მ2 | | 12.00 | | 0 | | 0.00 | | 0.00 | 0.00 |
| | | ლოკომოტივის შესასვლელი შენობის ფასადის სამღებრო სამუშაოები | | | | | 0 | | 0.00 | | 0.00 | 0.00 |
| 15 | 15-156-4 | კედლების დამუშავება ფითხით და შეღებვა | $მ^2$ | | 258.8 | | 0 | 8.13 | 2102.75 | | 0.00 | 2102.75 |
| | | მასალა | | | | | 0 | | 0.00 | | 0.00 | 0.00 |
| | | საღებავი | კგ | 0.69 | 178.57 | 4.80 | 856.946345 | | 0.00 | | 0.00 | 856.95 |
| | | ფითხი | კგ | 0.27 | 69.88 | 0.64 | 44.4127119 | | 0.00 | | 0.00 | 44.41 |
| | | ზუმფარა | ლ | 0 | 0.00 | 0.12 | 0 | | 0.00 | | 0.00 | 0.00 |
| | | სხვა მასალები | ლარი | 0.0034 | 0.88 | 3.20 | 2.815744 | | 0.00 | | 0.00 | 2.82 |
| | | ჯამი | | | | | 17231.95 | | 41864.63 | | 493.23 | 59589.81 |
| | | ზედნადები ხარჯები | 10% | | | | | | | | | 5958.98 |
| | | ჯამი | | | | | | | | | | 65548.79 |
| | | გეგმიური დაგროვება | 8% | | | | | | | | | 5243.90 |
| | | ჯამი | | | | | | | | | | 70792.70 |
| | მომსახურების ქვითარი | დეკორატიული (მარმარილოს) ხრეშის ტრანსპორტირება | | | | | | | | | | 1980.00 |
| | მომსახურების ქვითარი | ამწე კალათას იჯარა | მანქ/დღე | | 3.00 | | 0 | | 0.00 | 437.50 | 1312.50 | 1312.50 |
| | | ჯამი | | | | | | | | | | 74085.20 |
| | | დ.დ.გ. | 18% | | | | | | | | | 13335.34 |
| | | ჯამი | | | | | | | | | | 87420.53 |
| | | საექსპერტო ხარჯები (წარმოდგენილი ფორმა №2-ის ღირებულების 113552.88X1.7%=1930.40) | 1.70% | | | | | | | | | 1930.40 |
| | | ჯამი | | | | | | | | | | 89350.93 |
| | | | | | | | | | | | წარმოდგენილი ფორმა №2-ის ღირებულება | 117413.68 |
| | | | | | | | | | | | სხვაობა | -28062.75 |

დანართი №2

მიხეილ მესხის სახელობის ლოკომოტივის სტადიონის სარემონტო სამუშაოების ხარჯთაღრიცხვა

| № | სამუშაოს დასახელება | განზ | ნორმატიული ერთეული | რა-ბა | მასალები | | ხელფასი | | ტრანსპორტი | | მთლიანი ღირ-ბა, ლარებში |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | ერთ ფასი | ჯამი | ერთ ფასი | ჯამი | ერთ ფასი | ჯამი | |
| | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 |
| | განათების ბოძების მოწესრიგება | | | | | | | | | | |
| 9 | ელ. ბოძების შეღებვა (სტადიონის განათების) | მ$^2$ | | 2100.00 | 2.45 | 5145 | 11.28 | 23688.00 | | 0.00 | 28833.00 |
| | ელ. ბოძების საყრდენების დამუშავება შეღებვა (სტადიონის განათების) | მ2 | | 201.00 | 2.95 | 592.95 | 7.50 | 1507.50 | | 0.00 | 2100.45 |
| | სტადიონის შემოსასვლელის კეთილმოწყობა (სალაროებთან) | მ$^2$ | | | | 0 | | 0.00 | | 0.00 | 0.00 |
| | სტადიონის შემოსასვლელის შეღებვა (ჭიშკარი და 2 სექცია ღობე) (სალაროებთან) | მ$^2$ | | 34.20 | 2.45 | 83.79 | 7.50 | 256.50 | | 0.00 | 340.29 |
| | არსებული რკინის ღობის დემონტაჟი | მ$^2$ | | 180.00 | | 0 | 1.25 | 225.00 | 1.00 | 180.00 | 405.00 |
| | ახალი ლითონის ღობის მონტაჟი ბეტონის საფუძველზე (სალაროებთან) | მ$^2$ | | 230.00 | 20.25 | 4657.5 | 31.25 | 7187.50 | | 0.00 | 11845.00 |
| | ტრიბუნაზე სკამებს შორის გასასვლელის ლითონის კარის მონტაჟი | მ2 | | 0.60 | 85.80 | 51.48 | 37.50 | 22.50 | 5.00 | 3.00 | 76.98 |
| 12 | მეორე იარუსზე ასასვლელი კიბის უჯრედის შეკეთება | | | | | 0 | | 0.00 | | 0.00 | 0.00 |
| | სამშენებლო ნაგვის დატვირთვა ავტოთვითმცლელებზე და ტრანსპორტირება ნაყარში | მ$^3$ | | 6.00 | 0.00 | 0 | 5.00 | 30.00 | 18.00 | 108.00 | 138.00 |
| | არსებული კედლის შელესვა ქვიშა-ცემენტის დუღბით | მ$^2$ | | 16.00 | 4.26 | 68.16 | 7.50 | 120.00 | | 0.00 | 188.16 |
| | კედლის შეღებვა | მ$^2$ | | 16.00 | 2.95 | 47.2 | 7.50 | 120.00 | | 0.00 | 167.20 |
| | ლითონის კარის დამზადება, ტრანსპორტირება და მონტაჟი კიბის უჯრედში | მ$^2$ | | 1.10 | 85.80 | 94.38 | 37.50 | 41.25 | 5.00 | 5.50 | 141.13 |
| 13 | მეორე სართულზე ასასვლელი კიბეების ძირის პარაპეტის მოპირკეთება ბაზალტის ფილებით და კროშკის დაყრა (პატარა სტადიონის მიმდებარედ) | მ$^2$ | | 28.70 | | 0 | | 0.00 | | 0.00 | 0.00 |
| | ხელფასი | კ/მ | | 34.00 | | 0 | 25.00 | 850.00 | | 0.00 | 850.00 |

| | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ხელფასი | მ$^2$ | | 9.00 | | 0 | 31.25 | 281.25 | | 0.00 | 281.25 |
| | ბაზალტის ფილა 2.5 სმ | მ$^2$ | 1.05 | 30.14 | 31.80 | 958.293 | | 0.00 | 3.37 | 101.55 | 1059.85 |
| | ბეტონი, კიბის მოსაწყობად და ბილიკის ქვეშ | მ3 | - | 0.72 | 93.20 | 67.104 | 50.00 | 36.00 | | 0.00 | 103.10 |
| | ქვიშაცემენტის ხსნარი | მ3 | 0.05 | 1.44 | 85.00 | 121.975 | | 0.00 | | 0.00 | 121.98 |
| | ქვის საჭრელი დისკი | ც | 0.065 | 2.00 | 14.52 | 29.04 | | 0.00 | | 0.00 | 29.04 |
| | მარმარილოს კროშკა | ტ | - | 11.00 | 93.22 | 1025.42 | 12.50 | 137.50 | 51.14 | 562.54 | 1725.46 |
| 14 | მეორე სართულზე ასასვლელი კიბეების ძირის პარაპეტის მოპირკეთება ბაზალტის ფილებით კიბის მოყობით და კროშკის დაყრა (პატარა სტადიონის მიმდებარედ) | მ$^2$ | | 29.10 | | 0 | | 0.00 | | 0.00 | 0.00 |
| | ხელფასი | გ/მ | | 34.00 | | 0 | 25.00 | 850.00 | | 0.00 | 850.00 |
| | ხელფასი | მ$^2$ | | 9.40 | | 0 | 31.25 | 293.75 | | 0.00 | 293.75 |
| | ბაზალტის ფილა 2.5 სმ | მ$^2$ | 1.05 | 30.56 | 31.80 | 971.649 | | 0.00 | 3.37 | 102.97 | 1074.62 |
| | ბეტონი, კიბის მოსაწყობად და ბილიკის ქვეშ | მ3 | - | 0.72 | 93.20 | 67.104 | 50.00 | 36.00 | | 0.00 | 103.10 |
| | ქვიშაცემენტის ხსნარი | მ3 | 0.05 | 1.46 | 85.00 | 123.675 | | 0.00 | | 0.00 | 123.68 |
| | ქვის საჭრელი დისკი | ც | | 2.00 | 14.52 | 29.04 | | 0.00 | | 0.00 | 29.04 |
| | მარმარილოს კროშკა | ტ | - | 13.00 | 93.22 | 1211.86 | 12.50 | 162.50 | 51.14 | 664.82 | 2039.18 |
| 16 | მშვილდოსნების მოედნის მიმდებარე კედლის შელესვა-შეღებვა | | | | | 0 | | 0.00 | | 0.00 | 0.00 |
| | კედლების დამუშავება ფითხით და შეღებვა | მ$^2$ | | 285.8 | 2.95 | 843.11 | 7.50 | 2143.50 | | 0.00 | 2986.61 |
| 14 | მცირე სტადიონთან მისასვლელი ხის პანდუსის მოწყობა | | | | | 0 | | 0.00 | | 0.00 | 0.00 |
| | ხის კოჭი | მ2 | | 0.00 | 460.00 | 0 | 187.50 | 0.00 | 45.00 | 0.00 | 0.00 |
| | ფიცარი | მ3 | | 0.00 | 460.00 | 0 | 187.50 | 0.00 | 45.00 | 0.00 | 0.00 |
| | ხელოვნური საფარი | მ2 | | 0.00 | 0.00 | 0 | 5.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 |
| | სხვა მასალები | ლ | | 0.00 | 1.00 | 0 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 |
| 16 | ლოკომოტივის შესასვლელი შენობის ფასადის სამღებრო სამუშაოები | | | | | 0 | | 0.00 | | 0.00 | 0.00 |
| | კედლების დამუშავება ფითხით და შეღებვა | მ$^2$ | | 258.8 | 2.95 | 763.46 | 7.50 | 1941.00 | | 0.00 | 2704.46 |

| | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22 | ამწე კალათას იჯარა (ზედნადები ხარჯი 10%-ისა და გეგმიური დაგროვება 8%-ის გამოკლებით; 437,5/1,1/1,08=368,27) (17.07.2015 წლის მომსახურების ქვითარი რობერტ ჯულაყიძესთან, ერთი დღის მომსახურების ღირებულება შეადგენს 1750/4=437.5 ლარს) | მანქ/დღე | | 3.00 | | 0 | | 0.00 | 368.27 | 1104.80 | 1104.80 |
| | ჯამი | | | | | **16952.19** | | **39929.75** | | **2833.18** | **59715.12** |
| | ზედნადები ხარჯები | 10% | | | | | | | | | 5971.51 |
| | ჯამი | | | | | | | | | | **65686.64** |
| | გეგმიური დაგროვება | 8% | | | | | | | | | 5254.93 |
| | ჯამი | | | | | | | | | | **70941.57** |
| | დ.ღ.გ. | 18% | | | | | | | | | 12769.48 |
| | ჯამი | | | | | | | | | | **83711.05** |
| | საექსპერტო ხარჯები (წარმოდგენილი ფორმა №2-ის ღირებულების 113552.88X1.7%=1930.40) | 1.70% | | | | | | | | | **1930.4** |
| | ჯამი | | | | | | | | | | 85641.45 |
| | წარმოდგენილი ფორმა №2-ის ღირებულება | | | | | | | | | | 117413.68 |
| | სხვაობა | | | | | | | | | | -31772.23 |

**დამკვეთი:**
**ააიპ "თბილისის განვითარების ფონდი"**

**შემსრულებელი:**
**შ.პ.ს. "გიმკა"**
დირექტორი:
კოტე ილაშვილი

_______________________________